იმედისმომცემი 2014 წელი: ეკონომიკა, უმაღლესი განათლება და მეცნიერება

ლადო პაპავა

სასტარტო პირობები

2013 წელი საქართველოსათვის არ იყო მარტივი. ეს გახლდათ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის უჩვეულო პოლიტიკური თანაარსებობის წელი. ამ პროცესის აღსანიშნავად, ქართული ენა კიდევ ერთი ბარბარიზმით - „კოაბიტაცია“ - დაბინძურდა. სამწუხაროდ, პოლიტიკური თანაარსებობა უარყოფითად აისახა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც მოსალოდნელიც იყო, რადგანაც „კოაბიტაციის“ ქართულ ვერსიას საფუძვლად დაედო ოპოზიციაში გადასული პრეზიდენტი და საზოგადოებაში გაბატონებული რევანშისტული განწყობილების შენარჩუნება. შედეგად, 2012 წლის ბოლოს, ობიექტურად არსებული მოლოდინი იმისა, რომ 2013 წელი ეკონომიკურად წარმატებული იქნებოდა, სამწუხაროდ, ვერ გამართლდა, რადგანაც ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებამ სახელმწიფო ბიუჯეტში დეფიციტის ზრდა გამოიწვია.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების (რომელმაც გააგრძელა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მყიფე, მაგრამ იმავდროულად პრინციპულად მნიშვნელოვანი, მიღწევა ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემის სფეროში) შემდეგ ქართველი ამომრჩეველი დარწმუნებულია, რომ „კოაბიტაციის“ ქართული მოდელი დასრულდა, რომ საქართველოს მთავრობას ხელს ვერაფერი შეუშლის მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში.

2013 წელი განსაკუთრებულად წარმატებული აღმოჩნდა საქართველოსათვის, რომელმაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებას მიაღწია. სამწუხაროდ, 2008 წლიდან მოყოლებული, ქართული მხარის გამო ევროკავშირთან ამ შეთანხმების მიღწევა ხელოვნურად ჭიანურდებოდა, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო იმით, რომ თბილისიყოველ ღონეს ხმარობდა არ შეესრულებინა ბრიუსელის მიერ წაყენებული პირობები, რომელთა შესრულება აუცილებელია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოსაწერად.

2013 წელს, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში ჯერ-ჯერობით კვლავ გაურკვეველი დარჩა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოფილი ინსტიტუტების ბედი, რომელთა უმრავლესობა „ნაციონალური მმართველობის“ პერიოდში უნივერსიტეტებს ხელოვნურად მიუერთეს და მათი სამართლებრივი სტატუსი დღემდე არ იქნა განსაზღვრული. შეიქმნა მოლოდინი სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის შექმნის შესახებ, თუმცა საქმე მეტ-ნაკლებად რეალური და მისაღები პროექტის შექმნამდე ვერა და ვერ მივიდა. სახელმწიფო უნივერსიტეტებს კი არ აქვთ საბაზო დაფინანსება ბიუჯეტიდან, რაც მათი განვითარების სტაბილური წყაროს არარსებობაზე მიუთითებს.

ამ სასტარტო პირობებში იკვეთება 2014 წელს გადასაწყვეტ უმთავრეს ამოცანათა ხასიათი.

2014 წლის ძირითადი ამოცანები

2014 წელს მთავრობის საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა. ამისათვის საქართველოს მთავრობამ უნდა გააააქტიუროს ყველა მიმართულებით მუშაობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც აუცილებელია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოსაწერად. კერძოდ, ესენია კონკურენციის ხელშეწყობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული ინსტიტუტების შექმნა.

2014 წელს, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს წარმოადგენს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის და შესაბამისი ინსტიტუტის განმტკიცება, მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება საქართველოს ეროვნულ ბანკთან კოორდინაციაში, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა საგადასახადო დისციპლინის განმტკიცებისა და საბიუჯეტო სტიმულირების ხარჯზე.

ევროკავშირთან ვაჭრობის განვითარების პარალელურად, უნდა გაგრძელდეს და გაღრმავდეს ვაჭრობა რუსეთთან. მიზანშეწონილია აშშ-სთან დაიწყოს მოლაპარაკებები საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მისაღწევად.

აუცილებელია 2014 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავოს 2020 წლამდე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც ცოდნაზე დაუძვნებული ეკონომიკური მოდელის რეალიზაციას დაემყარება.

ცოდნაზე დაუძვნებული ეკონომიკის ჩამოყალიბება კი შეუძლებელი იქნება უმაღლესი განათლების სისტემის გაუმჯობესებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის გარეშე.

როცა სახელმწიფო უნივერსიტეტების შემოსავლების ძირითადი წყარო სტუდენტის მიერ მოტანილი ფულია, უნივერსიტეტებს არ აქვთ სათანადო მანევრირების საშუალება, რაც აფერხებს მათ სტაბილურ განვითარებას. საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონის მქონე ქვეყნისათვის უნივერსიტეტების საბაზო დაფინანსების ერთადერთ წყაროს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს. აუცილებელია 2014 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ შექმნას სახელწიფო უნივერსიტეტების სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბაზო დაფინანსების მექანიზმი.

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოფილი ინსტიტუტების მიმართ აუცილებელია მთავრობამ შეიმუშავოს სტრატეგია, რომელიც, ერთი მხრივ, დაასრულებს მათ სავალალო მდგომარეობაში ყოფნას, ხოლო მეორე მხრივ, მეცნიერების დაკნინების „ნაციონალური მმართველობის“ დროს დამკვიდრებულ მიდგომებზე საბოლოოდ იტყვის უარს.

2014 წელი იმედების წელია, და მათი ასრულება საქართველოს შემდგომი წინსვლის საწინდარი უნდა გახდეს.

2014 მოკლედ

აუცილებელია 2014 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ შექმნას სახელწიფო უნივერსიტეტების სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბაზო დაფინანსების მექანიზმი.

აკადემიკოსი ლადო პაპავა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი